პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ხუთშაბათი, 15 იანვარი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

№ 10 (698) 1და2 ქ. მ. ღ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელ. 2—24
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონ
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 სათამდე

## კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის ხსოვნას.

დღეს სრულდება ექვსი წელი, რაც გერმანიის პროლეტარიატის ჯალათის და ბურჟუაზიის ერთგული მსახურის მენშევიკ—ნოსკეს წყალობით ვერაგულად მოკლულ იქმნა გერმანიის მუშათა კლასის ორი საუკეთესო ბელადი—კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი.

ეს იყო 1919 წლის დასაწყისში, როცა ბერლინის მუშებმა მოინდომეს ძალაუფლების ხელში ჩაგდება და პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადება. მათ წინ მიუძღოდა კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი, რომლებმაც სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ბურჟუაზიის ლაქიებს—გამყიდველ სოციალ-დემოკრატიას. ამ უკანასკნელმა უღალატა მუშათა კლასს, გადავიდა ბურჟუაზიის მხარეზე და დაიწყო სასტიკი ბრძოლა პროლეტარული რევოლიუციის წინააღმდეგ.

და აი სოციალ-შემთანხმებლების წყალობით გერმანიის ბურჟუაზიამ შესძლო პროლეტარიატის დამარცხება. ბრძოლის დროს „სოციალისტ“ ნოსკეს განკარგულებით შეპყრობილი იქმნა ეს ორი გმირი და მხეცურად მოკლული თეთრგვარდიელების მიერ.

მოჰკლეს კარლ ლიბკნეხტი და იშვიათი რევოლიუციონერი ქალი როზა ლიუქსემბურგი!

პროლეტარიატის მტრებს ეგონათ, რომ მათი დაღუპვით ისინი სამუდამოთ დაამარცხებდენ სოციალისტურ რევოლიუციას გერმანიაში და გაანადგურებდენ „სპარტაკის“ ორგანიზაციას, რომელმაც შემდეგ საფუძველი ჩაუყარა გერმანიის კომპარტიას.

მაგრამ სასტიკად მოსტყუვდენ.

როზას და კარლის სახელი არ მომკვდარა, ის სცოცხლობს თითეული გერმანელ მუშის გულში, მათ მიერ დაწყებული საქმე არამც თუ არ დამარცხდა, პირიქით გაიზარდა და განვითარდა. მაშინდელი „სპარტაკის“ ორგანიზაციას რომლის რიგებში ირიცხებოდა კარლი და როზა დღეს გაიზარდა ვეებერთელა კომუნისტურ პარტიათ.

კარლის და როზას იდეა დღითი დღე იკიდებს ფეხს პროლეტარულ მასებში და გერმანიის კომუნისტური პარტია ხდება იმ მრისხანე ძალათ, რომელიც შესძლებს ამ იდეების განხორციელებას. ამ ექვსი წლის განმავლობაში ბევრი დამარცხება იგემა გერმანიის კომპარტიამ, ბევრი უბედურება გადაიტანა, მაგრამ სასტიკი ბრძოლის პროცესში ის გაძლიერდა, გასალკლდევდა და სათანადო გამოცდილებით აღიჭურვა. ის ერთ წუთს არ ივიწყებს დაღუპულ ბელადების ანდერძს—სასტიკი, დაუნდობელი ბრძოლა ბურჟუაზიის და შემთანხმებლების წინააღმდეგ, სანამ არ განადგურდება კაპიტალისტური სახელმწიფო და არ გაიმარჯვებს პროლეტარიატი.

ამ გზას მტკიცედ ადგია გერმანიის კომპარტია და ის მიაღწევს იმ მიზანს, რომელსაც ვერ მიაღწია კარლ ლიბკნეხტმა და როზა ლიუქსემბურგმა.

ამ ორი ბელადის სახელი კი მუდამ გამამხნევებელი იქნება თითეულ რევოლიუციონერ მუშისათვის მის ბრძოლაში დამყაყებულ ბურჟუაზიულ წესწყობილების წინააღმდეგ და საუკეთესო მაგალითი თუ როგორ უნდა ბრძოლა პროლეტარული საქმის გასამარჯვებლად.

## იაპონია-საბჭოთა მოლაპარაკება უახლოვდება დასასრულს.

როსტას თანამშრომელთან საუბარში იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა გამოსთქვა იმედი, რომ იაპონია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება სასურველად დამთავრდება. მან განაცხადა, რომ მოლაპარაკება არ ჩაიშლება წვრილმანების გულისთვის, ვინაიდან მთავარი საკითხები უკვე მოგვარებულია პრინციპიალურად

იაპონიის გაზეთები გამოსთქვამენ სიხარულს იაპონია-საბჭოთა კავშირის წარმატების გამო მოლაპარაკებაში.

როგორც იუწყებიან იაპონიის მთავრობამ უკვე გაუგზავნა იომიზავს სათანადო ინსტრუქციები.

## გერმანიის პროლეტარიატის ბელადები.



როზა ლიუქსემბურგი



კარლ ლიბკნეხტი

რომელნიც ექვსი წლის წინეთ ვერაგულად მოკლულ იქნენ სამხედრო მინისტრის სოციალ შემთანხმებელ ნოსკეს მიერ.

## ახალი ელექტროს სანათი.

ლენინგრადის სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკმა ინჟენერ-ელექტრიკმა—გინზბურგმა გამოიგონა ახალი ელექტროს სანათი; ამ სანათში შეიძლება სინათლის მომატება-მოკლება, როგორც ჩვეულებრივ ნავთის სანათში.

## მთავრობის კრიზისი გერმანიაში.

მთავრობის კრიზისი გერმანიაში გრძელდება. ერთ თვეზე მეტი იქნება, რაც ფაქტიურად მთავრობა არ არსებობს. საბრალო პრეზიდენტი ებერტი ხან ერთ პარტიას მიმართავს, ხან მეორეს, მაგრამ საქმეს მაინც არ ეშველა. ვინ იცის რამდენი პარტიული თუ ყველა პარტიათა გაერთიანებული თათბირების რაოდენობა არ მოიწვიეს, მაგრამ შეთანხმებას მაინც ვერ მიაღწიეს.

რაშია საქმე? რით აიხსნება ეს გარემოება.

მას შემდეგ, რაც გერმანიის ყველა კონტრრევოლიუციონურ პარტიებმა დაწყებული მონარქისტებიდან და გათავებული მენშევიკებით მიიღეს დოუესის გეგმა, განხეთქილებას არ უნდა ჰქონოდა ადგილი. არჩევნებიც მოხდა, სადაც „გაიმარჯვეს“ ბურჟუაზიულ და შემთანხმებელ პარტიებმა. მაშ რაღა დარჩათ?

მთავრობის შედგენა და დოუესის გეგმის გატარება ცხოვრებაში.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ დოუესის გეგმის მიღების შესახებ ორი აზრი ამ პარტიათა შორის არ არსებობს. გერმანელი მონარქისტი, ნაციონალისტი და სოციალ-დემოკრატიც სრული თანახმა არიან დოუესის გეგმის მიღებაზე და მთელი ამ გეგმის გატარების სიმძიმის გადატანაზე მუშათა კლასის კისერზე.

მაგრამ ერთია დოუესის გეგმის მიღება, ხოლო სულ სხვაა მისი განხორციელება.

ცხადია ის უნდა გაატაროს მთავრობამ, რომელზედაც თანხმობას განაცხადებენ ყველა ის პარტიები, რომლებიც იცავენ ამ გეგმას, მაგრამ მთავრობაში ყველა პარტიებს სურთ თავისიანები გაიყვანონ.

მემარჯვენე პარტიებს სურთ შეადგინონ „მტკიცე მთავრობა“ თავისიანებისაგან სოციალ-დემოკრატების გარეშე, რომელიც გაატარებს დოუესის გეგმას. სოციალ-დემოკრატებს კი სურთ შეადგინონ უფრო „მოდემოკრატო მთავრობა“ თავისი მეთაურობით.

და ასეთი დავა პარტიათა შორის, რაც დღე მიდის მით უფრო მწვავდება და, რასაკვირველია, მთავრობის საკითხიც გადაუჭრელი რჩება. რას მოწმობს ყოველივე ეს?

სრული უსუსურობას გერმანიის ბურჟუაზიის და სოციალ-გამყიდველების. მათ სიამოვნებით მიიღეს დოუესის გეგმა და ეგონათ რომ მისი განაღდებით დაამყარებდენ მშვიდობიანობას გერმანიაში და განამტკიცებდენ ბურჟუაზიის ბატონობას. მაგრამ როდესაც კითხვა მიდგა დოუესის გეგმის გატარების შესახებ—ისინი გადაეღობენ მრავალ დაბრკოლებებს და ჩიხიდან არამც თუ არ გამოვიდენ, პირიქით უფრო ჩაეფლენ მასში. დოუესის გეგმა ისე, როგორც სხვა ბურჟუაზიული თუ მენშევიკური საშუალებანი გერმანიის გაჯანსაღებისათვის გაკოტრდა. ამავე დროს კი იმპერიალისტური ანტანტა უფრო და უფრო უჭერს მუხრუჭს დაავადებულ გერმანიის სხეულს. როდემდის გაგრძელდება ეს?

მართლადაც არ არსებობს გერმანიისათვის გამოსავალი? პასუხი ერთია—გერმანიას იხსნის მხოლოდ კომუნისტური პარტია და პროლეტარული რევოლიუცია. სხვა გამოსავალი გერმანიისათვის არ არსებობს და ადრე თუ გვიან ის მაინც ამ გზას დაადგება.

ამას ამტკიცებს გერმანიის მთავრობის ხანგრძლივი კრიზისი.

—ე.

## ინგლის და საბჭოთა კავშირს შორის ამ ჟამად ნორმალური ურთიერთობაა.

მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლონდონში—რაკოვსკი.

რაკოვსკიმ პრესის წარმომადგენლებთან განაცხადა, რომ ამ ჟამად საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის ურთიერთობა კეთილსასურველია.

## განგაშს სცემენ.

კონსერვატორების გაზეთები, რომლებმაც არ მოათავსენ პირველად რაკოვსკის საუბარი ჩემბერლენთან, დღეს აქვეყნებენ ამის შესახებ თავიანთ დიპლომატიური კორესპონდენტების წერილებს. ამ წერილებში აღნიშნულია, რომ ჩემბერლენის მიერ უარყოფა ბალკანეთის საქმეებში ჩარევის ფაქტისა არ მოასწავებს დათმობას საბჭოთა მთავრობის მიმართ, არამედ ეს არის ბრიტანეთის პოლიტიკის დაცვა ჩაურევლობის საქმეში, რამდენადაც ამ საქმეს არ მოაქვს ზიანი ბრიტანეთის საარსებო ინტერესებისათვის.

შემდეგ წერილებში ნათქვამია, რომ გადაჭარბებული იქნებოდა ის აზრი, თითქოს ბრიტანეთის მთავრობა მზად იყოს მიიღოს ინგლის—საბჭოთა ხელშეკრულება უმნიშვნელო შესწორებით.

## მუშათა საერთაშორისო ერთსულოვნება.

ინგლისის მტვირთავთა და მუშათა პროფკავშირი აცხადებს, რომ ის მხარს უჭერს რკინის გზელებს განსაკუთრებულ სათადარიგო ჯარის ნაწილების შექმნის საკითხში.

ჩესტერში შესდგა 20.000-იანი რკინის გზელთა კონფერენცია.

კონფერენციამ დაადგინა უარყოფილ იქნას ბრძანება სათადარიგო ნაწილების შესახებ.

თითქმის ყოველ დარგის მუშები წინააღმდეგი არიან მთავრობის გეგმისა. რკინის გზის კავშირს ჯერ არავითარი პასუხი არ მიუღია იმ შეკითხვაზე, რომლითაც მან მიმართა სამხედრო მინისტრს.

## დიდი ძეგლი 9 იანვრის მსხვერპლთ.

ახალი საალმშენებლო წლიდან, 9 იანვარს დახოცილ—ძმათა სასაფლაოზე დაიწყება მუშაობა დიდი ძეგლის ასაგებად მოქანდაკე მანიზერის და ხუროთ მოძღვარ ვიტმანის ხელმძღვანელობით. ძეგლის განი იქნება 10 საჟენი, სიღრმე-3 საჟენი და სიმაღლე სამი საჟენი.

ძეგლის უკანა მხარეზე ჩამოწერილი იქნება 9 იანვარს დაღუპულ რევოლიუციონერთა სახელი და გვარები·

## საკითხი ამერიკის კომისიის გაგზავნის შესახებ საბჭოთა კავშირში.

„ენფორმასიონ პოლიტიკი-“ს მოჰყავს ლონდონიდან მიღებული ცნობა, რომლის თანახმად ვაშინგტონში ირჩევა საკითხი ამერიკის კომისიის გაგზავნის შესახებ საბჭოთა კავშირში.

## ამერიკა მალე იცნობს საბჭოთა კავშირს.

„იუნაიტედ პრესი“ იუწყება ვაშინგტონიდან: იუზის წასვლის შემდეგ კულიჯის ერთ-ერთი პოლიტიკური აქტი იქნება კომისიის დანიშვნა საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხის გასარჩევად.

ცნობის პირობებში არ იქნება საკითხი ამერიკის მეპატრონეთა საკუთრების შესახებ რუსეთში. საბჭოთა კავშირის ცნობა მოხდება ამ საკითხების მოგვარებამდი.“

ყველაფერი ეს ამტკიცებს იმას, რომ ბორას გავლენა ძლიერდება და ის ითამაშებს დიდ როლს ამერიკის საგარეო პოლიტიკაში.

## რას ფიქრობს კულიჯი „რუსეთის საკითხზე“.

ამერიკის პრეზიდენტთან დაახლოვებულმა ერთმა პირმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი იმედოვნებს რუსეთის მდგომარეობის განვითარებას იმ მიმართულებით, რომ საბჭოთა კავშირი შესძლებს იკისროს განათლებული ქვეყნის მოვალეობა სხვა ქვეყნებთან თანაბრად.

პრეზიდენტი იმედს გამოსთქვამს რომ რუსეთის ხალხის განვითარება სასურველად მიდის.

ამერიკის საერთო საგარეო პოლიტიკის შესახებ იმავე პირმა განაცხადა, რომ არც კი მოგვიწევს რისამე შეცვლა ამ პოლიტიკაში ის წარმოებული ქნება განვითარების გზით, მაგრამ მიმართულება ძველივე დარჩებაო.

ეს განცხადება ახდენს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ კულიჯს განზრახული აქვს შესცვალონ პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ, მაგრამ ამისათვის ჯერ-ჯერობით კიდევ ვერ არის საკმაო საბაბიო.

## ჩინეთში განახლდა სამოქალაქო ომი.

სამხრეთ-ჩინეთის მდგომარეობა მოულოდნელად გართულდა. უ-პეი-ფუს მომხრე სუნ-ჩსი-ფანმა დასძრა თავისი ჯარები შანხაისაკენ. მცირე ომით უ-პეი-ფუმ დაიკავა სენთიანი ადგილები და განდევნა ჩრდილოეთის ჯარები შანხაისაკენ.

ამ რიგად სამოქალაქო ომი განახლდა. შანხაის მოსახლეობაში დიდი შიშია გამეფებული.

ქუჩებში კეთდება სანგრები. უცხოეთის სამხედრო გემები დაჩქარებით გაემართენ შანქაიში.

## სადულის გასამართლების შესახებ.

მემარცხენე პრესა იწონებს სადულის გათავისუფლებას და კმაყოფილია მისი ბრალდებით დულანსისა და კლემანსოს წინაალმდეგ.

კომპარტიის გაზეთი „იუმანიტე“ აცხადებს, რომ ერიოს ეჩქარებოდა გაეთავებია სადულის საქმე, ვინაიდან ეშინოდა პროცესის, რომელიც გამოამჟღავნებდა საფრანგეთის ბურჟუაზიის საქმიანობას ომის დროს.

„ხატულის გასამართლება ამბობს „იუმალიტე“ პირველი ნაბიჯია სადულის, კლემანსოს და ნულანსის საქმის მოსპობისათვის“.

## სადულის გასამართლება. „რევოლიუცია ან სიკვდილი“

ორლეანში (საფრანგეთში) სასამართლო შეუდგა საფრანგეთის კომუნისტ სადულის გასამართლებას. მთავრობის კომისარმა მოითხოვა დამატებითი გამოძიება სადულის საქმეზე.

სადულმა განაცხადა: „მე ვიცდი ხუთი წელია, მაგრამ ჩემი მოთმინების ფიალა აივსო, ვინაიდან მართალია მე ნამდვილი კომუნისტი ვარ, მაგრამ მაინც ფრანგი ვარ ბოლომდის“.

შემდეგ სადული ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის ყოველთვის იყო მომხრე საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოების.

შემდეგ სადული ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ აირჩიეს ის შუამავლად საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ოქტომბრის რევოლიუციის პირველ წელს. სადული ბრალს სდებს ნულანს იმაში, რომ ის ყოველთვის მიდიოდა ლენინისა და ტროცკის წინაალმდეგ საფრანგეთთან თანამშრომლობის საკითხში. სადული ლაპარაკობს აგრეთვე იმის შესახებ, რომ მას არ აძლევდენ ნებას დაბრუნებულიყო საფრანგეთში.

დასასრულ სადული აცხადებს, რომ კამათი გამოარკვევს, თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში რუსეთის ბოლშევიკური რევოლიუცია და გაიგებს საზოგადოება ვინ არის საფრანგეთის ნამდვილი მოკავშირე.

„დადგა დრო, როცა უნდა მივმართოდ რევოლიუციონურ მეთოდებს—ამბობს სადული—ვინაიდან ჩვენ ვუახლოვდებით ხანას, როცა ევროპის წინაშე დადგება საკითხი: „რევოლიუცია ან სიკვდილი“.

სასამართლო ადგენს ფართედ აწარმოოს საქმის გამოძიება და დროებით გაათავისუფლოს სადული.



**კარლ ლიბკნეხტმა**

1916 წელს 1 მაის ბერლინში გრანდიოზულ დემონსტრაციაზე წამოისროლა ლოზუნგი ომი-ომს. სამხედრო სასამართლომ მას მიუსაჯა ოთხი წელნახევარი კატორღა. აქ ლიბკნეხტი გადაღებულია იძულებით სამუშაოზე.

## მასწავლებელთა საკავშირო ყრილობა.

(13 იანვრის დილის სხდომა.)

### კამათი რიკოვის მოხსენების შესახებ.

წითელ ცხენოსანთა სახელით ყრილობას ესალმება ბუდიონი. შემდეგ მიდის კამათი რიკოვის მოხსენების გარშემო. ლაპარაკობს კაპუსტინი (იაროსლავის გუბ.), რომელიც აღნიშნავს, რომ თუ სოფლის მდგომარეობა იქნება გაუმჯობესებული ცენტრიდან, მასწავლებლობის მუშაობა მაშინ გამოიღებს ნაყოფს ახალი სოფლის აღმშენებლობაში სოციალისტურ საფუძვლებზე.

ბაშკირეთის რესპუბლიკიდან ლაპარაკობს ტროიცკი, რომელიც ახასიათებს მეფის დროის, ოქტომბრის ხანების და დღევანდელ მასწავლებლობის მუშაობას. ბოლოს ამხ. ტროიცკი ამბობს: ჩვენ ძლიერი ვართ და ვერავითარი შეთქმულება, კავშირი და იუზები ვერაფერს ვერ დაგვაკლებს.

ამხ. კრუპსკაია ამბობს: „მასწავლებლებლების თათბირიდან და წერილიდან აშკარად სჩანს, რომ საჭიროა მთავარი ყურადღება მიექცეს სოფლის სკოლის გაძლიერება-გაფართოებას“.

უკრაინის წარმომადგენელი სალატკინი თავის სიტყვაში ამბობს: „უკრაინის შორეულ, მივარდნილ სოფლების მასწავლებლები არ მოელოდენ, თუ რომ ასე ყურადღებით შეხვდებოდენ ყრილობაზე მივიწყებულ მასწავლებლობის მოთხოვნილებას“.

საქართველოს წარმომადგენელი-მასწავლებელი ჯაკობია აღნიშნავს, რომ საქართველოს მასწავლებლობა წარსულში და აწმყოშიც რევოლიუციონური იყო და მას ხელთ ეპყრო როგორც მუშათა მოძრაობის, აგრეთვე ჩაგრულ ერთა განთავისუფლების დროშა. ოქტომბრის რევოლიუციის მიღწევები იმაში გამოიხატება რომ საქართველოს დღეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საკავშირო საკითხების გადაჭრაში სხვა რესპუბლიკებთან ერთად.

სულ ილაპარაკა 20 ორატორმა. ორატორების გამოსვლა შეწყვეტილ იქნა ყრილობის დადგენილებით, თუმცა ჩაწერილი იყო 500-ზე მეტი ორატორი.

### რიკოვის პასუხი.

შემდეგ რიკოვი აძლევს პასუხს წერილობითი შეკითხვებზე. რიკოვმა აღნიშნა, რომ ამ შეკითხვების საერთო შინაარსმა მას მისცა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ყრილობა დაინტერესებულია ყველა იმ საკითხებით, რომელნიც უნდა მდგარიყო სოფლისა და საოლქო საბჭოთა წარმოადგენლების ყრილობაზე. ეს ამტკიცებს იმას, რომ მასწავლებლობა ცხოვრობს გლეხთა ინტერესებთან ახლოს.

შემდეგ რიკოვი უპასუხებს შეკითხვებზე, რომლებიც ეხებიან გლეხებთან დამოკიდებულებას, კოოპერაციის საკითხებს, მთლიან გადასახადს და სხვა.

### სამრეწველოების მუშათა სალამი.

რიკოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობას ესალმება ფაბრიკა ქარხნების მუშათა წამრომადგენლები. ყრილობამ მიიღო მუშებისაგან 1.000-დე ლენინის სურათი, მოქარგული და მოქსოვილი ვლადიმიროვას გუბერნის ქარხანებში.

### ახალი ძალა.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქა გრიგორიევმა: „ორ ძალას მუშასა და გლეხს, დღეიდან ემატება ახალი ძალა-მასწავლებელი- ეს სამი ძალა თავდებია საბჭოთა კავშირის აყვავებისა.“

## „მასწავლებლობა და კოოპერაცია“.

### „პრავდას წერილი.“

აი სათაურით „პრავდაში“ მოთავსებულია წერილი, რომელშიაც ნათქვამია: „მთავარ საკითხების რიცხვში, რომლებიც ამ ჟამად რიგში დგანან, შედის საკითხი კოოპერაციის შესახებ. ჩვენ ვიცით რა მნიშვნელობას აძლევდა ამ საკითხს ლენინი. ყოველი შეგნებული მასწავლებელი უნდა იცნობოდეს ლენინის წერილს კოოპერაციის შესახებ.

დღევანდელი ამოცანა მოითხოვს ჩვენგან კონკრეტ პასუხს—რა გავაკეთოდ რომ გავაუმჯობესოდ მუშაობა.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ყველაზე უფრო საქონლის სიჩქარეზე. რამდენადაც ჩქარი იქნება. კოოპერაცის ვაჭრობა, იმდენად იაფი იქნება საქონელი, იმდენად ჩქარი ნაბიჯით აღორძინდება სახალხო მეურნეობა.

ამ საქმეს ხელს უშლიდა ბიუროკრატიული ფორმა ჩვენს კოოპერაციაში. ძალიან ცოტა გაკეთდა ამ საქმეში გლეხობის ფართო მასების მისაზიდავად და თვითმოქმედების გასავითარებლად.

თუ დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ საბჭოების გამოცოცხლების საჭიროებაზე, ესევე უნდა ითქვას კოოპერაციის შესახებ.

ნებაყოფლობითი წევრობაზე გადასვლა, სოფლის კოოპერატივების ნდობის მოპოება არა „ბილეთებით“ არამედ საქმიანობით, აქტიურობით, ცოდნით და პატიოსნებოთ აი სავალდებულო პირობები კოოპერატიული საქმის ზრდისა ჩვენში.

ჩვენი ქვეყანა საზოგადოდ ღარიბია კულტურული მომუშავეებით. განსაკუთრებით ღარიბია ამ მხრივ სოფელი. მაგრამ თუ ჩვენ შეერთებული ფრონტით დავეყრდნობით ერთმანეთს და პარტიის ხალმძღვანელობით მოვკიდებთ ხელს მუშაობას, შეგვიძლია სასწაული მოვახდინოთ. ამ საქმეში ჩვენ დიდ დახმარებას გაგვიწევს მუშებისა და გლეხების ახალი მოკავშირე ჩვენი მასწავლებლობა“.

## პროვოკატორ ოკლადსკის გასამართლება.

(13 იანვრის დილის სხდომა.)

პროფესორი შჩეგოლევი ამტკიცებს, რომ ოკლადსკი მოქმედებდა თავისი შინაგანი ბუნების კარნახით. ის ბიოგრაფია, რომელიც მან მოიყვანა, რომ თითქოს ის აიძულეს რევოლიუციის მოღალატეობის გზას დასდგომოდა-არაფრით არ შეესაბამება სიმართლეს. ოკლადსკიმ გასცა მთელი საიდუმლოება რაც კი იცოდა და ამით გადაირჩინა სიცოცხლე და მიიღო თავისუფლება. გამცემლობის მაგალითი მრავალი იყო რუსეთში, მაგრამ ისეთი ერთგული აგენტი როგორიც იყო ოკლადსკი მეფის მთავრობას არ ჰყოლია.

შემდეგ კრილენკო კითხულობს ოკლადსკის რამოდენიმე წერილს, რომელიც დათარიღებულია 1923 წელში და მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების წინაალმდეგ.

ამ რიგად ირკვევა, რომ ოკლადსკის გასულ წელშიაც კი ჰქონდა კავშირი მეფის რეჟიმის დარჩენილ მოღვაწეებთან.

შემდეგ კითხულობენ ანკეტას, რომელიც შევსებულ იქნა ოკლადსკის მიერ ერიქსონის ქარხანაში შესვლის დროს. ანკეტას ის აწერდა: „ხალხოსანთა“ პარტიის ყოფილი წევრი.

ოკლადსკი ამაზე ამბობს, რომ ეს იყო ჩემი გაუფრთხილებლობა, რომელმაც დამაჯდინა ბრალდებულის სკამზე.

### საღამოს სხდომა.

**სალამოს სხდომაზე გამოძიება მთავრდება.**

საზოგადოებრივი ბრალმდებელი ფელიქს კონი ამბობს: „პროლეტარულ სასამართლოს ბევრი გამცემელი გაუსამართლებია, მაგრამ მათ შორის არ ყოფილა ისეთი ვერაგი, მოღალატე, როგორიც არის ოკლადსკი. მან მრავალი საზიზღარი საქმე ჩაიდინა და დღეს სასამართლოს წინაშე ის შეეცადა ჩირქი მოეცხო ჟელიაბოვისათვის, რომლის ხსნოვნას ჩვენი თაობა საუკუნოებით შეინახავს მოწიწებით. ოკლადსკი სტყუის, ის ლაპარაკობს თავის წამებაზე. ის სხვებს აგდებდა ბორკილებში, და არა თვითონ ატარებდა მას. მე პროლეტარულ სასამართლოს არავითარ წინადადებას არ ვაძლევ, მაგრამ მე ვიცი, რომ განაჩენს ექნება მხოლოდ ერთი მიზანი; ეს არის რევოლიუციისა და პროლეტარიატის დაცვა.




## ლენინის გარდაცვალების წლის თავისათვის ვემზადებით.

ლენინის გარდაცვალების წლის თავის მოახლოვების გამო ქართულ მეთაურთა სკოლის კურსანტები დიდ მზადებაშია.

ყველა ფეხზე სდგას. ყველა დიდი ენტუზიაზმით ეწევა ამ დღისათვის მზადებას.

ჩვენმა კლუბმა გააორკეცა თავისი მუშაობა. დრამწრე გაფაციცებით ამზადებს სადღესასწაულო პიესებს; მომღერალთა წრე ამზადებს სხვა და სხვა ხასიათის რევოლიუციონურ სიმღერებს.

თვითეული ასეული და განყოფილებები—ცალ-ცალკე აწყობს და ამშვენიერებს თავის ლენინის კუთხეებს, რომლებსაც დიდი ყურადღება ექცევა. საწოლი ბინები ეწყობა სურათებით, პლაკატებით და სხვა ლოზუნგებით.

12 იანვარს, კლუბმა მოიწვია მთელი სკოლის ლენინის კუთხეების გამგეების კრება, სადაც განმარტებული იქნა თუ როგორ უნდა ჩატარდეს ლენინის გარდაცვალების დღე. სკოლამ ფულის სახით გაუწია კუთხეებს დახმარება, კლუბიც ეხმარება მათ შეძლებისდაგვარად. განზრახულია კუთხეებს მიეცეს ახალი სახე, სასტიკად უნდა იქნეს დაცული მხატვრული მხარეები. აგრეთვე ყველა ასეულებმა და განყ. უნდა გამოუშვან ამ დღისთვის ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი გაზეთები.

საუკეთესო კუთხის მოწყობისათვის და კედლის გაზეთის გამოცემისათვის დანიშნულია ჯილდო.

კურსანტები დიდ ინტერესით მოელიან დღესასწაულის ჩატარებას.

სამხკორი ჭ. ახათიანი.

## რემედასის უჯრედში.

13 იანვარს, პირველი ლეგიონის მეორე ასეულის წ. კუთხეში შესდგა რემედასის უჯრედის წევრების კრება.

დაესწრენ ასეულის დანარჩენი წ. არმიელებიც. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: რა არის რემედასი, რას ემსახურება და რა მიზანი აქვს და 2) რემედასისა ჟურნალები ორივე საკითხებზე. მოკლე მოხსენება გააკეთა ამხ. წულუკიძემ. მან გააცნო კრებას რემედასის მიზანი და დანიშნულება. იყო შეკითხვებიც რის შემდეგ ამხ. წულუკიძემ მოუწოდა წ. არმიელებს ჩაეწერონ რემედასში. კრებამ ერთხმათ გამოსთქვა სურვილი რემედასში ჩაწერაზე. ამ თვის ჯამაგირებიდან რემედასის ჟურნალების შესაძენად გადადებული იქნა ამ თვის ჯამაგირებიდან ორ-ორი კაპეიკი.

ამასთანავე წინადადება მიეცა რემედასის წარმომადგენელს, რომ დაიჭიროს კავშირი ლეგიონის გამაერთიანებელ ბიურო კოლექტივთან და მოგვაწოდოს ყველა ცნობები რემედასის შესახებ.

სამხკორი მ. უფლისაშვილი.

## ხშირად ასეთი საქმიანი კრებები.

12 იანვარს შესდგა ლეგიონის უფ-პოლიტ-შემადგენლობის კრება. დაესწრენ ლეგთავი, სამხკომი და სამნეო ნაწილის უფროსი. განსახილველი იყო მრავალი ისეთი საკითხები, რომლებიც უმთავრესად ეხებოდა ასეულის თავს და პოლიტშემადგენლობას.

ეს იყო შემდეგი: შემჩნეული იყო ლეგიონში, რომ ზოგიერთი ასეულის უფროსები არ აქცევდენ ყურადღებას ურსათ—სანოვაგის მიღებას, უფთავეს ასეულებში, ქვაბებს, კმაყოფას და სხვას რაც ხელს უშლიდა სამნეო ნაწილს მუშაობაში.

სამნეო ნაწილი იძენს ახალ ჯამებს, მაგრამ ჩვენ შემდეგ ვნახავთ, რომ ზოგიერთი ასეულების თავები ამ ჯამებს არ აქცევენ ყურადღებას.

წითელ-არმიელები ხშირად ჯამებს ცეცხლზე აშრობენ, რაც იწვევს მათ დაჟანგვას და მოსალოდნელია არმიელების მოწამვლა. ამას გარდა ჯამების დაჟანგვის მიზეზია ისიც, რომ მათ არ ასუფთავებენ ხმარების შემდეგ. ამაზე ასეულის თავები არაფერს ლაპარაკობენ და ამიტომ გაფუჭდენ ისინი.

მასთან არის კიდევ მრავალი სხვა დეფექტებიც. ტანისამოსის მიღება-გაცემა, საარმატურო სიების შედგენა და სხვა რაც ხელს უშლის ჩვენს მუშაობას. სამხკომს, ლეგთავს და სამნეო ნაწილის უფროს არაფერი არ შეუძლია თუ ყველა ამას ყურადღება არ მიაქციეს თვით ასეულის უფროსებმა.

ყოველივე იმის გამოსასწორებლათ სამნეო ნაწილის უფროსმა ამხ. გრიგოლაშვილმა მოიწვია ასეულის თავების და უფპოლიტშემადგენლობის კრება. მან აღნიშნა ყველა ის დეფექტები ასეულების ცხოვრებაში, რომლებიც ხელს უშლიდენ მის მუშაობას.

და მიუთითა ასეულის უფროსებს, რომ ეს მოეგვარებინათ და მისცა სათანადო ახსნა განმარტება. კარგი იქნება რომ ასეთი კრებებს სამნეო ნაწილის უფროსი ამხ. გრიგოლაშვილი ხშირათ მოაწყობდეს და მისცემდეს დირექტივებს ასეულების უფროსებს.

ასეთი საქმიანი კრებები ძლიერ გაუადვილებს საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენი წითელი ჯარის შენახვას.

ს. იმნაიშვილი.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი.

**პირველი ლეგ. კომენდანტის საყურადღებოთ.**

ლეგიონის პირველ ასეულში მოთავსებულია პირის საბანი ონკანი („კრანი“) არმიელებისათვის. უკვე ერთი თვე შესრულდება ჩქარა, რაც ეს ონკანი გაფუჭდა და აღარ მოქმედებს. ამ ჟამად არმიელებს ძლიერ შორს უხდებათ პირის დასაბანად წასვლა. სიშორის გამო ბევრი სრულიად აღარ იბანს პირს, რაც ხელს უწყობს უსუფთაობის გავრცელებას. ასე იქცევა არმიელების თითქმის 50 პროც. საჭიროა ყურადღება მოგვაქციოს კომენდანტმა და შეაკეთებინოს აღნიშნული ონკანი.

სამხკორი აჩხეტელი.

## საგუშაგოს არ ათბობენ.

პირველი ლეგიონის მეოთხე ასეულის არმიელები ვართ საგუშაგოზე. ჩვენი სადგომი—ბინა ამ სიცივეებში არ თბება და ცუდ მდგომარეობაშია. მართალია აქ არის დიდი კედლის ღუმელები, მაგრამ ის ერთი და ორი ნაჭერი შეშა, რომელიც ჩვენ გვეძლევა ღუმელს ვერ ათბობს და უსარგებლოდ იკარგება. ვსთხოვთ ვისაც ეს შეეხება იზრუნოს და დაგვიდგან პატარა ღუმელები. ასეთ სიცივეებში ცივ სადგომში ყოფნა მეტად აუტანელია.

წ. არმ. ემელიან ქანთარია.

## ყურადღება მიაქციეთ გადამდებ სნეულებებს.

პირველი ლეგიონის სანიტარული ნაწილი ნაკლებად აქცევს ყურადღებას გადამდებ ვენერიულ ავადმყოფობას. ლექციებზე ჩვენი ექიმები გასაგები ენით გვიხსნიან თუ როგორ უნდა მოერიდო ვენერიული სენით დაავადებულ ხალხსო და სინამდვილეში კი ჩაკლებად ღებულობენ ზომებს.

მაგალითად ლეგიონის საკავშირო გუნდში სამი ამხანაგებია ვენერიული სენით შეპყრობილი. ექიმებმა ისინი არ გადაგზავნეს საავადმყოფოში და ჩვენთან ერთად ცხოვრობენ, ხშირად ერთი ჯამიდანაც კი გვიხდება ჭამა და ისე დაახლოებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ვეკითხები ჩვენს ექიმებს მოგველის თუ არა საშიშროება და თუ კი რად არ ღებულობენ ამის წინააღმდეგ საჭირო ზომებს? უნდა მიექცეს ყურადღება.

პარტკორი მზვერავი.

## ჩვენი შემოქმედებანი.

„ამრეკველი“ (მეთაურთა სკოლის საარტილერიო განყ. ორკვირეული კედლის გაზეთი).

გამოვიდა მეთაურთა სკოლის საარტილერიო განყოფილების კედლის გაზეთის „ამრეკველის“ მორიგი მეშვიდე ნომერი.

გაზეთი საკმაოდ დიდი ფორმატის, მხატვარული და სუფთა ლამაზი ასოებით არის დაწერილი.

მოწინავე წერილი აღნიშნავს ამხ. ლენინის გარდაცვალების წლის თავს. იქვეა მოთავსებული სურათი ლენინი კუბოში. შემდეგ მიდის ლექსი, რომელიც მიძღვნილია ლენინზე. აქაც არის ლენინის სურათი, რომლის წინ სდგანან ამხ. ამხ. მახარაძე, ცხაკაია და სხვანი. მესამე წერილი მიძღვნილი აქვს 9 იანვარს სათანადო სურათებით „სისხლის კვირა“.

შემდეგ გაზეთში მოთავსებულია ამავე განყოფილების ახკომკავშირის კომუჯრედის მუშაობის ანგარიშები. გაზეთში მოთავსებულია სხვა ხასიათის წერილებიც მაგალითად: სამხედრო საქმე, შეფ ქვეშ აყვანილი სოფლის შესახებ და სხვა.

ბოლოს იუმორისტული განყოფილება, რომელიც ძლიერ იზიდავს მკითხველებს.

გაზეთი დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. ვუსურვოთ რედკოლეგიის შემდეგისათვის უფრო მდიდარი შინაარსით გამოუშვას ჩვენი კედლის გაზეთი.

სამხკორი ჭ—ა.

## ამბები სოფლებიდან.

**ჭირნახულის საექიმოთ.**

შორაპნის აღმასკომმა დაავალა აგრონომიულ განყოფილებას მოაწყოს სიმინდის და სხვა ჭირნახული სენის საექიმოთ ცალკე კამერა.

**ტელეფონი საჩხერეში.**

შორაპნის აღმასკომმა გადასწყვიტა საჩქაროთ შეუდგეს ტელეფონის ქსელის გაყვანას საჩხერეში.

**სკოლა ვაჩნაძიანში.**

სოფ. ვაჩნაძიანში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო სკოლა. სკოლაში ირიცხება 25 ახალგაზრდა.

**აბასთუმნის ელექტრო სადგური.**

აბასთუმანში უკვე დასრულდა ელექტრო სადგურის აგება. სადგური ამუშავებულ იქნა დეკემბრის შუა რიცხვებში.

**საავადმყოფო ცხინვალში.**

ოსეთის ავტონ. ოლქის ცაკმა გადასწყვიტა ცხინვალშიააგოს საავადმყოფო, რისთვისაც შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცაკის წინაშე დახმარების გაცემაზე.

**ქალთა სახელოსნო.**

შორაპნის ქალთა განყოფილებამ გადასწყვიტა დაარსოს ქალთა სამკერვალო, რომელშიაც იმუშავებენ უმუშევარი ქალები.

**საქონლის ექიმობა ლეჩხუმში.**

1924 წლის განმავლობაში ლეჩხუმის მაზრაში სწარმოებდა დაავადმყოფებული საქონლის სისტემატიური ექიმობა. მარტო სექტემბრამდე უექიმნიათ 175 საქონლისთვის.

**არხის ზაყვანა.**

ძლიერი ყინვების გამო გაიყინა „მაშველი“ არხი (ქუთაისის მაზრაში). არხზე სწარმოებს მუშაობა ყინულის ლოდების ასაფეთქებლათ.

## პარტიული ცხოვრება

**2-ე ლეგ. მესამე კომუჯრედში.**

8 იანვარს მესამე კომუჯრედში მორიგი ღია კრება. დაესწრენ ყველა პარტიული და უპარტიო ამხანაგები.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

ახალი პარტწმენდის შესახებ, რემედასის კვირეულის ჩატარება, პარტ-აღმშენებლობის შესახებ და სხვა.

პარტწმენდის შესახებ ილაპარაკა ამხ. ზაუტაშვილმა. იმის განმარტების შემდეგ თუ რა მნიშვნელობა აქვს პარტიის სიჯანსაღისთვის წმენდას, გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუცია.

რემედასის კვირეულის ჩატარების გარშემო მოხსენება გააკეთა ამხ. ბერულაძემ. მან გააცნო კრებას, თუ როგორ იტანჯებიან რევოლიუციონერი ამხანაგები ბურჟუაზიის საპყრობილეებში და როგორი დახმარება უნდა გაუწიოთ მათ და მათ ოჯახებსო. მომხსენებელს მრავალი შეკითხვები მისცეს კვირეულის ორგანიზაციისა და ჩატარების შესახებ.

კრებამ მოისმინა სათანადო განმარტებანი პარტაღმშენებლობის შესახებ, შემდეგ ინფორმაციული მოხსენება გაზეთებიდან და სხვა.

კრებაზე წაკითხული იქნა აგრეთვე სხვა და სხვა ცირკულიარები საჭირო ახსნა განარტებებით.

ზ. წყნორელი.

## სამნეო დარგის საკითხები.

**თევზით კმაყოფაზე.**

წითელ-არმიელები უკმაყოფილებას აცხადებენ თევზით მომზადებულ საჭმელზე. რა ზომებია მიღებული ამის გამო სამნეო ნაწილის გამგის ან კიდევ სამნეო კომისიის მიერ? გაზეთ „წითელ არმიელი“-ს № 695 (7)-ში ჩვენ ვსწერდით რომ ერთეულში საჭმელი უნდა მზადდებოდეს სხვა და სხვანაირი და შესაძლებელია კერძში ერთი სანოვაგის მაგიერ მეორე იქნეს მეთქი, მაგრამ ამისთვის საჭიროა საქმისადმი მეტი ინიციატივის და შნოს გამოჩენა, რასაც, საუბედუროდ, მოკლებულნი არიან ზოგიერთი ჯარის ნაწილები.

**თევზითაც შეიძლება გემრიელი საჭმლის მომზადება.**

ჩვენ გვქონდა შემთხვევა გაგვესინჯა საჭმელი ერთ-ერთ რუსულ ჯარის ნაწილში. წვენი მომზადებული თევზით იყო ძალიან გემრიელი, რაიც მზადდება ამ ნაირად: თევზი კარგათ უნდა გაასუფთაოდ ქაცვისგან და ლაყუჩისაგან და თუ გეპარებათ რაიმე ეჭვი და ატყობთ სიმწარეს მოსჭერით და გადააგდეთ მთელი თავი. ერთი დღე-ღამით ადრე ვიდრე მოხარშავდეთ, დაალბეთ თევზი წყალში. შემდეგ-ჩადეთ გამზადებულ ადუღებულ წყალში, რომელიც უნდა იყოს შენელებული გემოზე მარილით, პილპილით და დაფნის ფოთლით და წამოადუღეთ რამოდენიმე წამი, მაგრამ კი არ ჩახარშოთ და მალე ამოიღეთ ქვაბიდან. ამ ნახარშით მოამზადეთ კართოფილით და სტა-

ფილოთ წვენი, ცოტაოდენ ბრინჯის ან ბურღულის დამატებით. ამავე დროს ცალკე მოხრაკეთ ზეთში ხახვი „ტომატით“ და ჩაუშვით გამზადებულ წვენში. მოხარშული თევზი დაანაწილეთ პატარ-პატარა ნაჭრებად და ან ხელახლა ჩაყარეთ ქვაბში-წვენში, ან კიდევ დაურიგეთ ყველას ხელზე. ამნაირადვე მზადდება თევზის სოუსით.

**თევზი იძლევა კვირაში ორჯერ.**

თანახმად მთავარ მომარაგების სამმართველოს 1923 წლის 8-X № 06928 განკარგულებისა და რ. რ. ს. ს. ამავე წლის № 833 ბრძანებისა, კავკასიის წითელ დროშოვან ლაშქრის მომარაგების უფროსმა დასდო ხელშეკრულება ხორცით მოვაჭრე საზოგადოებასთან (მიასოტორგი) რომ ამ უკანასკნელმა ჩააბაროს ნაწილებს კვირაში ორჯელ თევზი (48 მისხ. ხორცის მაგიერ 72 მისხ. თევზი) 1924 წ. 15 ნოემბრიდან ვიდრე 1925 წ. 15 მარტამდის ე. ი. წელიწადში 4 თვე.

ჯარის ნაწილებმა თევზის მიღების და მოხარშვის დროს უნდა იქონიონ მხედველობაში სამწეო დარგის და ანგარიშების წარმოების სახელმძღვანელოს 2 ტომის 24 თავი და რ. რ. ს. ს. 1922 წ. № 1125 ბრძანება, ამასთანავე თუ რომ თევზის თავის სიავკარგეზე ვისმე შეეპარა გინდ ცოტაოდენი ეჭვი, უნდა აუცილებლივ იქმნას თავი მოჭრილი და გადაგდებული. ცხადათ გაფუჭებული თევზი ხომ სულ არ უნდა იქმნეს მიღებული ერთეულის მიერ.

შესაძლებელია შეთანხმება „მიასოტორგ“-თან, რომ თევზის მაგიერ მოგცეთ ხორცი (გინდ ღორისა) სათანადო ნორმით და შეფასებით, რაიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების დამატების § 2 მუხლ. გ-ში, სადაც სწერია: „ნაციონალური ჯარის ნაწილები, რომლებიც თავიანთი ცხოვრების პირობების მიხედვით არა ხმარობენ საჭმელად თევზს, აგრეთვე საავამდყოფოები და დაწესებულებები, სადაც არიან წითელი ასკერები, უნდა დაკმაყოფილებულ იქმნან მთელი ხელშეკრულების ვადის განმავლობაში—ხორცით“.

ს. შაკუნი.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— **პარტწრის მუშაობა.** პირველი დივიზიის პოლიტ-განყოფილებასთან არსებულმა პარტიულმა წრემ უკვე დაიწყო მუშაობა. წრეში ყოველ კვირეულად იკითხება ლექციები.

— **ქიმიის კურსები.** ქიმოხსაზოს პრეზიდიუმმა დაავალა სამეცნიერო-სატეხნიკო სექციას მოაწყოს ტფილისის უმაღლეს სასწავლებლებთან ქიმიის კურსები.

— **წიგნი ჯარის ნაწილებისათვის.** ქართულ მეთაურთა სკოლის ქართული ენის მასწავლებელთა კოლეგიამ ივანე გომელაურის მონაწილეობით შეადგინეს ქართული ენის ქრესტომატია ჯარის ნაწილებისათვის ქრესტომატია მარქსისტული თვალსაზრისითაა შედგენილი და მის გამოცემას ფიქრობს პოლიტ-განყოფილება.

— **საჩეჩნეთთან დამოკიდებულება.** 15 აპრილისათვის მოწვეულია მთა საჩეჩნეთის და საქართველოს მოსაზღვრე სოფლების ყრილობა ურთიერთ დამოკიდებულებისა და საბალახო ადგილების საკითხების მოსაგვარებლათ.

— **უმუშევარ მოზარდთა სახლი.** შრომის სახალხო კომისარიატმა შეადგინა ხარჯთაღრიცხვა უმუშევარ-მოზარდთა სახლის მოსაწყობათ, რისთვისაც გადადებულია 24 ათასი მანეთი.

— **გერმანული გუთნები.** ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა შეიძინა 2.700 ცალი ფოლადის გუთანი გერმანიაში.

— **სასოფლო მეურნეობისათვის.** სასოფლო-მეურნეობის საჭიროებისათვის და ჭირნახულის მავნებლებთან საბრძოლველათ საზღვარ-გარეთიდან გამოწერილი იქნა ა. კ. საგარ. ვაჭრ. კომისარიატის მიერ 200 ფ. „პარიზის მწვანილი“.

— **ახალი ვაგონები.** ტრამვაის სახელოსნო შეუდგა მოსაბმელი რონოდების პარტიის დამზადებას.

— **ტრამვაის ლიანდაგის განახლება.** ტრამვაის დირექციას გადაწყვეტილი აქვს აპრილში შეუდგეს ტრამვაის დაზიანებულ ლიანდაგის განახლებას.

— **საბავშო სახლების შესანახათ.** ტფილისში არსებულ საბავშო სახლების, ბაღების და სხვა შესანახათ მიმდინარე წლისთვის გადადებულია 390.189 მან.

— **დახმარება უმუშევრებს.** დეკემბრის განმავლობაში დამზღვევმა კასამ უმუშევარ დაზღვეულებს დაურიგა დახმარებათ 4.698 მანეთი.

# ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲐ.

## „ხელოვნური სიცოცხლე“

ერთ რუს მეცნიერმა—კულიაბსკიმ მოახერხა მეტად საყურადღებო ცდის დაყენება: მან მკვდარი ადამიანის სხეულიდან ამოჭრილ გულში ერთგვარი სითხის შედენით, ეს უკანასკნელი აამოძრავა—დააწყებინა ჩვეულებრივად ცემა, რომელიც გაგრძელდა 24 საათის განმავლობაში. უფრო უცნაურია ცდები მკვდარი მტერიის გაცოცხლებისათვის.

ლემანმა—თავის შესანიშნავ ცდებიდ სითხისნაირ კრისტალებზე (კრისტალი გამჭირვალე მაგარი ნივთიერებაა, მაგალითად როგორიც არის შაბი და სხვა) აღმოაჩინა კრისტალური სახე, რომლებსაც აქვთ მოძრაობის უნარი და გამოჰყოფენ თავის შემადგენლობიდან პაწია კრისტალებს, სრულიად ისე, როგორც მრავლდებიან ერთ უჯრედიანი უმარტივესი არსებანი. ბერტულდმა—ლითონის ფირფიტის გახურებით, რომელზედაც მოთავსებული იყვნენ სპირტისა და ცხიმის-ქონის წვეთები, საკვირველი შედეგი მიიღო. აღნიშნული წვეთები ამ ცდით ისე მრავლდებოდენ, როგორც უმარტივესი ცხოველი ამება. მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო და თან გასაოცარი შედეგები მიიღო თავისი ცდებით რუმბლერმა. მისი ცდები ძლიერ წააგავს საშვალო საუკუნოების ქიმიკოსების ცდებს, რომლებსაც სურდათ საცდელ შუშაში ხელოვნურად შეექმნათ ადამიანი. რუმბლერი თავის ცდებს ახდენდა ქლოროფორმაზე, რომლის დროს მისი (ქლოროფორმის) წვეთმა ისე დაიწყეს მოძრაობა და ფოფხვა, როგორც ცოცხალმა არსებამ: როდესაც ამ წვეთს მიუახლოვებდენ ძლიერ წვრილ მინის ლაქით დაფარულ ძაფს, ქლოროფორმის წვეთი ეცემოდა მას, ის გადაყლაპავდა, როგორც სჩვევია უმარტივეს ცხოველს ამებას. ეს ცოტაა ქლოროფორმის წვეთი ხსნიდა, ინელებდა ლაქს, ხოლო მოუნელებელ ნივთიერებისაგან კი ეს წვეთები აკეთებდენ ნაჭუჭებს.

სიცოცხლის ნიშნებად საერთოდ ითვლებიან: მოძრაობა, გაძლიერება და ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ ამ საკვირველი ქლოროფორმის წვეთს მხოლოდ მოძრაობის უნარი ჰქონდა. ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა ამ წვეთში არ ხდება, არც გაძლიერების პროცესი.

**უდიდესი ანტენები მსოფ[ლ]იოში.**

ასეთი ანტენები არის გე[რ]მანიაში, რომელსაც უწოდებ[ენ] გერცოგშტანის „სამთო ანტ[ე]ნა“. (ანტენა—რადიოს გადა[]ცემი ჯოხია).

ეს ანტენები მით განირჩევ[ა] ან ჩვეულებრივი ანტენებისაგ[ან] რომ მისი „იალქნების“ რო[ლს] ასრულებენ ორი მაღალი მთ[ის] წვეროები. ერთი ამ მთის წ[ვე]როს სიმაღლე უდრის 17[] მეტრს, ხოლო მეორის კი 9[] მეტრს.

მისი მოქმედების სიმაღ[ლე] აღწევს 1000 მეტრამდე; [ეს] იმას ნიშნავს, რომ ასეთი მო[ქ]მედების სიმაღლით, რომ ი[] შაიას ჩვეულებრივ ხელოვნუ[რ]მა ანტენამ, მისი სიმაღლე [სა]ჭიროა აღწევდეს ერთ კილომ[ე]ტრამდე.

ეიფელის კოშკსაც კი (საფ[]რანგეთშია), რომელიც უმა[ღ]ლესი მოქმედების რადიოთ ით[]ვლება მსოფლიოში, სამჯე[რ] უფრო ნაკლები სიმაღლის მო[]ქმედება აქვს, ვიდრე გერცოგ[]შტანის „სამთო ანტენას“.

„სამთო ანტენას“ ამნაირა[დ] შეუძლია ისეთი ძლიერი რ[ა]დიო ტალღების გადაცემა, რომ [] დამოკიდებულება იქონიოს შო[] რეულ აღმოსავლეთთანაც (ვლა[]დივოსტოკამდ და იაპონიასთა[ნ] გერცოგშტანის „სამთო ანტ[ე]ნა“ დიდ მიღწევად უნდა ჩა[]თვალოს რადიო ტეხნიკაში [] დიდი შესაძლებლობის წინაშ[ე] აყენებს კულტურულ კაცო[ბ]რიობას.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ.

**ამხ. ირ. მაისაიას.** საჩქაროდ შამოიარეთ რედაქციაში.

**ამხ. ბალათურიას.** თქვენი კორესპონდენციები „უყურადღებოთ ვართ“ და „რისთვის არის ათასეული“ არ დაიბეჭდებიან. მოგვაწოდეთ სხვა წერილები.

**ს. ბუბაშვილს.** თქვენი კორე[]სპონდენციები: „პირველი ლ[] გიონის საყურადღებოთ“, „დიდ ხანს ძღებიან“ დ[ა] „მადლობის ღირსია“ ა[რ] დაიბეჭდებიან.

# ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ნება მოგვეცით თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით მივმართოთ **თბილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს.**

მე-2-ე ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის საკონსულტაციო ბიურომ მოგმართათ, რათა გამოგეძიათ ასეულის წითელ არმიელ ამხ. გრიგორიანცის საქმე. განცხადება № 3, რომელზედაც გარკვეული პასუხი დღემდის არ მიგვიღია, თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული ამხ. გრიგორიანც[] ამიტომ აღნიშნული ნაწილ[ის] საკონსულტაციო ბიურო გა[ნ]მეორებით გთხოვთ მოგვაწ[ო]დოთ პასუხი, რადგანაც საკო[ნ]სულტაციო ბიუროს უმთავრ[ე]სი ადგილი უჭირავს წ-არმიელ[]თა შინაურ ცხოვრების გაუ[მ]ჯობესებაში და წ-ჯართა ს[ა]ლიერ გარდაქმნაში.

ასეულის საკონსულტაცი[ო] ბიუროს მდ. ვ. კაჭარავ[ა]

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

**შაბათს, 17 იანვარს, დილის 9 საათზე, წითელ არმიის დ[ა] ფლოტის სახლში შედგება ქართულ დივიზიის ნაწილებ[]თან ერთად გარნიზონის სამეურნეო კომისიების**

# ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

**ᲓᲚᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:**

1) მოხსენებები ადგილებიდან 2) სამეურნეო კომი[]სიის ამოცანები ნაწილის საერთო აღმშენებლობასთა[ნ] დაკავშირებით.

ყველა კომისიების წარმომადგენელთა დასწრება სა[]ვალდებულოა ნაწილის სამხკომის პასუხისმგებლობის ქვე[შ].

ქ. მს. დ. პოლიტ-განყოფილების უფ. კვირიკაძ[ე]
პოლიტსეკ-რის უფროსი დვორიანოვ[]

# ᲝᲛᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ.

## ᲡᲐᲝᲛᲐᲠ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ.

ბრძოლის ახალ საშუალებათა შემოღებამ, ეჭვი არ არის, საკმაო გავლენა უნდა მოახდინოს, აგრეთვე საომარ მოქმედებათა შესრულებაზე.

სტრატეგია გვასწავლის—ომის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მტერი დაუმორჩილო შენს ნებისყოფას და აიძულო იგი შენ მიერ ნაკარნახევი პირობები მიიღოს. ამის მისაღწევად არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება. ეს არის გამუსვრა, ან შესუსტება მოწინააღმდეგის საომარ ძალისა. მტრის საომარ ყველა ძალების და საშუალებების მოსპობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ბრძოლით.

მომავალ ომში ბრძოლების განვითარებაზე დიდ გავლენას იქონიებს საჰაერო ძიება;—სულ მცირე ხანში საჰაერო ძიების საშუალებით ცნობების მიწვდენა მტრის მოძრაობის შესახებ, შეძლებას იძლევა თავის დროზე შესაფერ ზომების მიღებისათვის.

ამის გარდა, იგივე საჰაერო ძიება მოითხოვს მომავალ ომისთვის მოძრაობათა დიდ სისწრაფეს, რისთვისაც აგრეთვე საჭირო იქნება საბარგო ავტომობილების და ტრაქტორებისთვის მრავალ ჯელგმების მოწყობა. ადალით (ტრანსპორტით) სარგებლობას, ჯარების სასწრაფო გადაყვან-გადმოყვანისათვის, ადგილი ქონდა აგრეთვე მსოფლიო ომშიც,—რომელსაც არა ერთხელ გამოუყვანია ჯარები გაჭირვებულ მდგომარეობიდან. საავტომობილო ჯელგმები უზრუნველყოფენ მომავალ ომებში საოპერაციო მოულოდნელობისაგან, და ჯარების გადაყვან-გადმოყვანის სისწრაფე შექმნის ჯარებისათვის წარმატებას.

ჯარების ასეთ გადაყვან-გადმოყვანას მტრის საჰაერო ზვერვისთვალთაგან დამალვის მიზნით, უნდა თან სდევდეს კვამლის ფარდები, ან საკუთარ გამანადგურებლების გაძლიერებული ბადრაგი?

ამასთან ერთად სხვა ადგილებში უნდა ხდებოდეს ცრუ მოძრაობები, რათა მტერი შეცდომებში იყოს შეყვანილი.

ამნაირად ჯარების სწრაფ მოძრაობას მომავალ ომებში, იმდენად გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, რომ აუცილებლად გავლენას იქონიებს ბრძოლის დამთავრებაზეც.

მომავალ ომის პირველ შეტაკებებს ადგილი ექნება ჰაერში. ამ შეტაკებების გამოსავალს გავლენა ექნება, რასაკვირველია, საომარ მოქმედებათა განვითარებაზე ხმელეთზედაც.

თუ იმ შეტევებს, რომელიც წარმოებული იქნება მტრის საომარ ძალების მოსასპობად, გადამწყვეტი მნიშვნელობის შედეგები არ მოყვება და მთავარ გადამწყვეტ პუნქტზე გაჩაღდება ორივე მხარეთა თანასწორი ბრძოლა, მაშინ საქმის ასეთი ვითარება მიყუჩებას გამოიწვევს, რაც სხვა უბნებსაც გადაეცემა, სადაც აგრეთვე შეწყდება საომარი მოქმედებანი—ამ შემთხვევაში ომი მიიღებს საპოზიციო ხასიათს.

საპოზიციო ომში ოპერაცია თავისუფლდება ხოლმე, მხოლოდ კარგ გარღვევის შემდეგ, მაგრამ ამისათვის საჭიროა გასარღვევ ადგილთან დიდ ძალთა თავმოყრა და მასალის დაგროვება.

გარღვევა შეიძლება გადაიქცეს გადამწყვეტ ოპერაციადაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკმაო მწე ძალებია აქ მოყვანილი და მოიერიშის მატერიალური ჭარბობა გარღვევის შემდეგ ხანისთვისაც შერჩება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, გინდაც ბრწყინვალე გარღვევის შემდეგ, გამარჯვება ჩაკვდება სრულიად უნაყოფოდ.

**დასკვნა:** ავიაციის ძლიერ განვითარებული საძიებო უნარი მოითხოვს საომარ ყველა მოძრაობათა შესრულებას სულ მოკლე ხანში.

საბარგო ავტომობილების და ტრაქტორების ჯელგმები საკმაოდ დამზადებული უნდა იყოს მშვიდობიან დროს, ამასთან შეიძლება ესენი სამხედრო უწყების განკარგულებაში იყოს, ანდა დროებით კერძო პირების ხმარებაში.

ამ მანქანებისათვის საჭიროა ვიქონიოთ საკმაო სათადარიგო ნაწილები შ ირის დ სხვა მასალისა, უკეთესია, რასაკვირველია, თუ რომ ავტო-აღალის, ავიაციისათვის და სხვა სატეხნიკო ჯარებისთვის ყველა საჭირო მასალის წარმოების და მოპოვების წყაროები სახელმწიფოს საკუთარ ხელში იქნება.

გათვალისწინებული უნდა იყოს საჰაერო იერიშების შესაძლებლობა შხამიანი აირებით, მაშინ საჭირო იქნება იმ რაიონების მცხოვრებთა თავდაცვა, რომელიც მოცული იქნება ომით.

საჭიროა მშვიდობიან დროს სახელმწიფოს მოწყობის გათვალისწინება იმ ანგარიშით, რომ მას საუკეთესოდ შეეძლოს თავისი დანიშნულების შესრულება, რათა ეს უკანასკნელი შეიქმნეს ჯარების საბრძოლო ძალების წყაროდ.

ივ. ფაღავა.